სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/104

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის თალიკო ჟვანიას 2025 წლის 05 ივნისის MES 7 25 0000630538 სამსახურებრივი ბარათის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (05.06.25 №10-4) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებული გამოთვლითი მათემატიკის და მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტების რეორგანიზაცია გამოთვლითი მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტის მათემატიკის აკადემიურ დეპარტამენტთან შეერთების გზით.
2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში.
3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**